



MES 6 21 0000477794



24/05/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 29 აპრილს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/85437348133?pwd=bGFLQ09lVmNxUk9XQVp1SHE4OTBIUT09>

Meeting ID: 854 3734 8133

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი**- სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)  
წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი“:**

თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი;

ელისაბედ ებრალიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

მარიამ აბელიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი;

ლანა პატაშური - პარტნიორი ორგანიზაცია „დვალეთის“ წარმომადგენელი.

**ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი „ფერმერთა სკოლა“:**

ლალი ალფაიძე - დირექტორი;

როზა იარაღანგულიევა - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ალექსანდრე აფციაური - პროგრამის განმახორციელებელი პირი.

**შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი“:**

გიორგი კუჭუხიძე - დირექტორი;

ია ერაძე - პარტნიორი ორგანიზაციის SBA წარმომადგენელი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ბესიკ თეთვაძე,

გიორგი ხაბეიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:04 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ ქუჩულორია საბჭოს სხდომას ვერ ესწრებოდა, საბჭოს წევრების უმრავლესობის თხოვნით სხდომას გაუძღვა ქრისტიანე მეფარიშვილი, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის - „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავების“ /01054/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** ბესიკ თეთვაძე, ლანა გაჩეჩილაძე

2. ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისათვის - „ტყის მცველის“ /01048/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** გიორგი ხაბეიშვილი, მაყვალა დარსანია

3. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ 2020 წლის 30 დეკემბრის №1242356 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** ნანი დალაქიშვილი

**1. სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის - „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავების“ /01054/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამის საქმისწარმოებაში იყო ბატონ ბესარიონ თეთვაძესთან ერთად. მან თქვა, რომ გასულ წელს

დაწესებულებას ჰქონდა ანალოგიური შინაარსის პროგრამა წარმოდგენილი საბჭოს სხდომაზე, თუმცა რიგი ხარვეზების გამო უარი ეთქვა განხორციელებაზე. ახლა უკვე განახლებული პროგრამაა, გაძლიერებულია ნიადაგის კომპონენტთან ერთად, ტრაქტორის მართვა. მაშინ პრობლემა იყო, რომ პრაქტიკული სწავლება ნაკლებ დროში იყო გაწერილი და ტრაქტორის მართვაც და ეჭვქვეშ დავაყენეთ, რამდენად შესაძლებელი იყო დაშვების წინაპირობაში, გარკვეული გამოცდილების არმქონე პირები რამდენად მიაღწევდნენ სწავლის შედეგს. ეხლა უკვე ეს ხარვეზები გასწორებულია, დადებითი დასკვნაა, ხარვეზი საერთოდ არ დაფიქსირებულა, არის მხოლოდ განმავითარებელი სახის რეკომენდაციები, რაც ეხება უშუალოდ თემატიკის დაზუსტებას, ტერმინოლოგიურ დონეზე, შინაარსობრივად პროგრამას არ ეხება:

1.2 ქვესტანდარტი. რეკომენდირებულია პროგრამაში, პირველ კვირაში, თემატიკაში მითითებული ჩანაწერი „მომვანტველი მანქანა“ დაზუსტდეს და მიეთითოს „შემტანი მანქანა“, ვინაიდან „შემტანი მანქანა“ უფრო მრავალფუნქციურია მოვანტვასაც ასრულებს და დაყრასაც, ამიტომ, დარგის ექსპერტის რეკომენდაციით, უფრო მრავალფუნქციური მანქანა მიეთითოს, რაც რეალურად საჭიროა სწავლის შედეგის მიღწევისათვის.

მე-9 კვირაში მითითებულია ორი თემატიკა, რომელიც ფაქტობრივად ერთი მეორეს მოიცავს. ეს უფრო ტექნიკური უზუსტობაა. რეკომენდირებულია დაზუსტდეს მითითებული თემატიკები და ერთი სრულყოფილი თემატიკით ჩამოყალიბდეს.

ვინაიდან ტერმინი ტექნიკური მომსახურება 1/2/3 ხმარებიდან ამოღებულია, რეკომენდირებულია მე-10 კვირაში ამოღებულ იქნეს ჩანაწერი „ტექნიკური მომსახურება 1/ტექნიკური მომსახურება 2 / ტექნიკური მომსახურება 3“ და წინა თემატიკასთან ერთად ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ტექნიკური მომსახურება (რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული)“, ანუ დარგის ექსპერტის რეკომენდაციაა მოძველებული ტერმინოლოგია შეიცვალოს ახლით.

რეკომენდირებულია, მე-11-ე კვირაში დაზუსტდეს სახელწოდება „გამომთესი და შემკრავი აპარატი და მიეთითოს „ამკრეფ-დამწნეხი აპარატი“. ესეც ტერმინოლოგიის დახვეწის მიზნით გაცემული რეკომენდაციაა.

პროგრამას აქვს ხუთი სწავლის შედეგი, ძირითადად პრაქტიკაზე ორიენტირებული:

1. სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების კლასიფიკაცია;
2. სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების ძირითადი კვანძებისა და მოწყობილობების იდენტიფიცირება;
3. ტრაქტორის მართვა T კატეგორიის წესების შესაბამისად;
4. ტრაქტორის მომსახურება და მცირე რემონტი;
5. ნიადაგის დამუშავება.

პროგრამა არის გადამზადების, დაშვების წინაპირობაში აქვს საბაზო განათლება და მინიმალური მოთხოვნაა, რომ უნდა ჰქონდეს ტრაქტორის მართვის მცირე გამოცდილება, პროგრამის ხანგრძლივობაა -14 კვირა, აქედან ბოლო სამი კვირა მსმენელები გადიან პრაქტიკის ობიექტზე, გაფორმებული აქვთ კოოპერატივ „დუალეთან“ ხელშეკრულება, მათ ჰყავთ 5 ტრაქტორი და ერთდროულად მიიღებენ 10 მსმენელს თითო მიღებაზე. ერთი კვირის მანძილზე ერთ მიღებაზე 5 ტრაქტორის შემთხვევაში ორ-ორი ნაწილდება ერთ ტრაქტორზე და ერთკვირიანი ან ორ კვირიანი სხვაობით შეძლებენ რომ მიიღონ ორი ჯგუფი პარალელურად და მსმენელთა რაოდენობა განსაზღვრულია 20-ით. შესაბამისად წინამძღვრიანთკარის კოლეჯში არის ის აღჭურვილობა, რაც სწავლის შედეგების მიღებისათვის არის საჭირო. გარდა ამისა, მოწყობილია A და B გარემოები, A გარემოში არის 20 მსმენელის მიღების შესაძლებლობა, აქვთ ორი B გარემო, თითოეულში არის 15-15 მსმენელის მიღების საშუალება. მსმენელი კურსის დასრულების შემდეგ მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და გარდა ამისა,

ემლევა შესაძლებლობა T კატეგორიის მართვის მოწმობის გამოცდაზე გავიდეს და გათავისუფლდეს პრაქტიკის გამოცდიდან, თუ ეს სერტიფიკატი მას უკვე ექნება, ჩააბარებს მხოლოდ თეორიულ გამოცდას.

ქრისტინა მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ როცა გაეცნო ამ განაცხადს, მოეწონა, რაც წინა წარმოების დროს იყო, ის ხარვეზები არის გათვალისწინებული.

ზედმეტად კარგად გასწორებულიც კი არის, აღნიშნა ლანა გაჩეჩილაძემ, დაშვების წინაპირობაში ტრაქტორის მართვის მცირე გამოცდილებასაც ითხოვენ, პრაქტიკის საათებიც საკმაოდ გაახანგრძლივეს, ნიადაგის დამუშავებაც საკმაოდ მრავალფეროვანია, საკმაოდ კარგად გააზრებულად შედგენილი პროგრამაა უკვე სახეზე.

ნათია კვიციანს აინტერესებდა, რა არის ანაზღაურება ადგილობრივ ბაზარზე ამ სამუშაოს შესრულებაზე, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, მაგრამ მოთხოვნა რეგიონში არის ტრაქტორისტებზე, ალბათ შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული, ფართობი რა მოცულობისაა, რაზეც უნდა იმუშაოს.

მარიკა ზაქარეიშვილს აინტერესებდა, მოთხოვნა საიდან წამოვიდა, რატომ სცადეს მეორედ ამ პროგრამის წარმოდგენა, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოთხოვნა არის როგორც დამსაქმებლებისგან, პარტნიორი ორგანიზაციისგან, ასევე მოსახლეობისგან. ეს იყო გაეროს მიერ დაფინანსებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც თავდაპირველი პროგრამა შემუშავდა და მათი ჩართულობით და თხოვნით რადგან იყო მოთხოვნა რეგიონში, მათ აქვთ იმ ადამიანების სია, ვისაც სურს გაიაროს ეს პროგრამა, მოკვლევითაც დადგინდა, რომ რეგიონისთვის მოთხოვნადი და საჭიროა, თანაც გრძელვადიანი პროგრამა „ტრაქტორისტი-მემანქანე“, რომელსაც ახორციელებენ, არის მიღწევად რეჟიმში, გაუქმდა ჩარჩო-დოკუმენტი, ამიტომ გადაწყვიტეს დაემატებინათ მოკვლევადიანი პროგრამა, თანაც აღჭურვილობაც აქვთ და სურთ გამოიყენონ ამ პროგრამაში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის - „ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავების“ /01054/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება /01054 (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 29 აპრილი.

## **2. ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისათვის - „ტყის მცველის“ /01048/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა მაყვალა დარსანიამ. მან ისაუბრა პროგრამის შესახებ: პროგრამის დასახელება - „ტყის მცველი“, ორგანიზაცია - ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა. მან აღნიშნა, რომ ეს არ არის პირველი პროგრამა, დეკემბრის ბოლოს ფერმერთა სკოლამ მოიპოვა უფლება კიდევ ერთი პროგრამის განხორციელების შესახებ, პროგრამის სახე არის პროფესიული მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა -12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, მათ აქვთ საშუალება, ერთდროულად მიიღონ 30 მსმენელი და ეს განაწილებული იქნება ორ ჯგუფში. პროგრამის განხორციელების ადგილი: საგარეჯოს რაიონი, სოფ.ნინოწმინდა.

რაც შეეხება სტანდარტების შეფასებას, დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ საპატრიარქომ მიმართა ფერმერთა სკოლას წინადადებით, მოემზადებინათ „ტყის მცველის“ კუთხით შესაბამისი კადრები და სწორედ ეს გახდა საფუძველი რომ სკოლას შეემუშავებინა „ტყის მცველის“ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა. ეს სპეციალისტები შეძლებენ დაიცვან ზოგადი მეტყვეობისა და ტყეთმოწყობის პრინციპები და უსაფრთხოდ განახორციელონ სატყეო სამეურნეო ღონისძიებები, მათ შორის ხე-ტყის დამზადება, ტყის პროდუქციის სორტიმენტაცია და სორტიმენტების ზომების დადგენა (სიგრძე, მოცულობა), მოახდინონ ხე-ტყის დახარისხება, უზრუნველყონ ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა და მავნებელ-დაავადების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება.

პროგრამაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ერთადერთი განმავითარებელი რეკომენდაცია გაიცა, კერძოდ, სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით. ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია: შეესაბამება სახელწოდება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, ანუ ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - 18 წელი, პროგრამა დაგეგმილია 12 კვირიან სწავლებაზე და კვირაში საათების რაოდენობა - 8-10 სთ. კვალიფიკაციის დონე არის მესამე და შედეგები და თემატიკა ისეთნაირად არის გაწერილი რომ შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონეს.

პროგრამაში ოთხი სწავლის შედეგია:

1. ზოგადი მეტყვეობისა და ტყეთმოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა;
2. ხე-ტყის დამზადება და დახარისხება;
3. ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა;
4. ტყის დაცვა ხანძრებისგან და მავნებელ-დაავადებებისგან.

მეტი წილი არის პრაქტიკული კომპონენტი, ხოლო თეორიული კომპონენტი არის დაახლოებით 30%.

პროგრამის ხანგრძლივობა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამაში გამოყენებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა, ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას. ფერმერთა სკოლას დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან“. მემორანდუმში გაწერილია, რომ სააგენტო ხელს შეუწყობს ფერმერთა სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამის მემენელების (15 მსმენელი) დაშვებას პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე, სადაც მსმენელებს შეუძლიათ განახორციელონ პრაქტიკული სწავლება კეთებით. მემორანდუმი დაწესებულებას 3 წლის ვადით აქვს გაფორმებული.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

მეორე სტანდარტს რაც შეეხებოდა,

2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი განმახორციელებელი პირი, რომელთაც უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია.

2.2 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო რესურსები, დისტანციურად შემოწმების დროს მოხდა მათი დათვალიერება, თუმცა დარგის ექსპერტმა ერთი რეკომენდაცია გასცა, რომ სასურველია სასწავლო რესურსებს დაემატოს ტყის დაცვის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნები, რასაც აუცილებელია გაეცნოს ამ პროგრამის მსმენელები.

2.3. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე;

2.4. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია და დასტურდება რომ მსმენელთა უსაფრთხოება დაწესებულებაში დაცულია.

რაც შეეხება 3.1, 3.2 და 3.4 ქვესტანდარტებს, დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიურებებით. ხოლო 3.3., 3.5, 3.7 არ ექვემდებარება შეფასებას შესაბამისი გამოცდილების არარსებობის გამო.

დასკვნის სახით, მაცვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია, კერძოდ:

2.3 ქვესტანდარტი. რეკომენდირებულია, სასწავლო რესურსებს დაემატოს ტყის დაცვის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნები, რასაც აუცილებლად უნდა გაეცნონ ან პროგრამის მსმენელები.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ იცნობს ორივე განმახორციელებელს, რომელიც ჰყავს დაწესებულებას ამ პროგრამისთვის, ორივე უმაღლესი სტანდარტის კვალიფიკაციითაა და კარგია, დაწესებულებამ რომ მოახერხა მათი აყვანა, რაც შეეხება სასწავლო რესურსს, რაც წარმოდგენილი იყო სასწავლებლის მიერ, შეესაბამება სტანდარტებს და მიზნებს, რაც აქვს სასწავლებელს. ძალიან მოეწონა ის მიმართულება, რომ დიდი დრო ეთმობა პრაქტიკულ ნაწილს, კარგად აქვთ წარმოდგენილი და გათვლილი.

უპრობლემო განაცხადია, საჭიროების დასაბუთება გასაგები და მისაღებია, პრაქტიკული ნაწილიც, მოსწონს პროგრამა და არ აქვს კითხვა, აღნიშნა სხდომის თავმჯდომარემ.

კითხვები არ არსებობდა და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლისათვის - „ტყის მცველის“ /01048/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 7**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ტყის მცველი /01048 (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 29 აპრილი.

**3. შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგისთვის“ „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ 2020 წლის 30 დეკემბრის №1242356 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.**

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგიდან“ ბატონი გიორგი კუჭუხიძის წერილი, რომელიც გადაგზავნილი იყო საბჭოს წევრებისთვისაც, ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგს“ მიენიჭა პროფესიული გადამზადების პროგრამის - „მარკეტინგისა და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი“ განხორციელების უფლება. როგორც აღნიშნავს ბატონი გიორგი ეს ძალიან მნიშვნელოვანი სექტორია ქვეყნის მასშტაბით და ამ სპეციალისტების მომზადება დარგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ამბობს, რომ პირველი გამოცხადებისთანავე დაფიქსირდა მზარდი მოთხოვნა აღნიშნულ პროგრამაზე. იმის გათვალისწინებით, რომ შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგს ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც შეძლებს ერთდროულად რამდენიმე ჯგუფის სწავლებას, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია პროფესიული გადამზადების პროგრამა - მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი სრულად განხორციელდეს ონლაინ სწავლების მიდგომებით, ასევე კანონმდებლობა პროფესიული მომზადება/გადამზადებისათვის არ ითვალისწინებს კვოტის გაზრდის რაიმე ფორმალურ პროცედურას, გვთხოვს, ვიშუამდგომლოთ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოსთან და პროგრამაზე მისაღები კვოტა განუსაზღვროთ 100 მსმენელით. 25 მსმენელიდან ითხოვს 100-მდე გაზრდას. ეს არის მათი თხოვნა.



ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ მოქმედი 131-ე დადგენილება არ ითვალისწინებს ზღვრული რაოდენობის გაზრდის პროცედურებს. დადგენილების ცვლილებების პროექტში არის ცალკე პროცესად გაწერილი, ამ ეტაპზე კი ერთადერთი გამოსავალია ან პირდაპირ დაეთანხმოს საბჭო ან მონიტორინგი ჩაინიშნოს.

25 დან 100-მდე საკმაოდ დიდი რაოდენობაა, ნიშნავს ერთბაშად 100 მსმენელის მიღებას და შეეძლება ამდენი მსმენელის მიღება და რესურსი თუ არის ამდენი, დაინტერესდა მარიკა ზაქარეიშვილი

წერილში რაც მოცემულია ინფორმაცია იმის გარდა არაფერი გვაქვს, უპასუხა ლანა გაჩეჩილაძემ

მარიკა ზაქარეიშვილის აზრით, რადგან ამხელა რაოდენობით გაზრდას ითხოვს დაწესებულება, შემოწმება მომხდარიყო მეორე სტანდარტის განახლებული რაოდენობის მიმართებაში, რასაც დაეთანხმა ქრისტინე მეფარიშვილი და გიორგი გამყრელიძე, რომელმაც დაამატა, რომ ერთი არგუმენტია კიდევ, რომ იგივე სახით შეიძლება სხვამაც მოგვმართოს და ერთი პრეცედენტის დაშვება ნიშნავს, რომ სხვებიც მოითხოვენ ანალოგიურ პრეცედენტის დაშვებას.

ნათია კვიციანს აინტერესებდა, რამდენად შესაძლებელია დროის თვალსაზრისითაც და პედაგოგების რაოდენობის მიხედვითაც, ალბათ დიდი რესურსს მოითხოვს, მსმენელების 4-ჯერ გაზრდა პრაქტიკულად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი კუჭუხიძემ თქვა, რომ გაზრდილი მოთხოვნა წამოვიდა ზოგადად მომართვიანობით. მათ აქვთ საკონსულტაციო მომსახურებაც და სჭირდებათ კადრები, გაყიდვების სპეციალისტები და მათი დასაქმების პერსპექტივები არის ნამდვილად და ონლაინ ჩატარების საშუალებამ, დისტანციურად ტრენინგების ჩატარებამ ეს შესაძლებლობა გააჩინა. რესურს რაც შეეხება ამ პერიოდში, პირველივე ჯერზე მთლიანად იქნებ ვერ შეავსონ, მაგრამ უახლოეს პერიოდში, რამოდენიმე თვეში, 4 ჯგუფი სამი თვის განმავლობაში თავისუფლად დაძლევადა მათი მხრიდან. ასევე აპირებენ სხვა მენტორების ჩართვასაც და გაზარდონ ამ მხრივ წარმადობა.

პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ია ერაძემ დაამატა, რომ მართლაც ყველანაირი ჩარევის გარეშე საკმაოდ დიდი კონკურსი შეიქმნა ამ პროგრამაზე გამოცხადებისთანავე, მათ შორის დაფინანსდა ორი სამინისტროს მიერ და კვოტაც კი არ აქვთ რომ იმ ადამიანებს, ვისაც უნდოდათ ამ პროგრამაზე, დაიწყონ სწავლება. სწორედ ამიტომ, ისედაც ფიქრობდნენ საბჭოზე, რომ ეს რაოდენობა არ იქნებოდა საკმარისი და გამართლდა მათი მოლოდინები და მოთხოვნა მართლაც ძალიან მაღალია და მარკეტინგი ისედაც საინტერესოა და ეს გამოჩნდა კიდევ საბჭოს იმ სხდომაზე, რომ ამ მიმართულებით თითქმის ყველა საბჭოს წევრს გავლილი აქვს ტრენინგ კურსები. ინტერესი რომ მაღალია, გამოჩნდა იმითაც, რომ მოთხოვნა გაიზარდა. შესაბამისად, ეს შესაძლებლობა არსებობს და თუ საბჭო თანახმა იქნება, მისი აზრით, როგორც ყველა წარმატებული პროექტი, ეს პროექტიც იქნება წარმატებული საგანმანათლებლო სივრცეში.

ლანა გაჩეჩილაძემ თქვა, რომ საბჭომ ერთგვარი მიმოხილვა გააკეთა ამ საკითხის და რიგი წევრების მოსაზრებით, კარგი იქნება და რეკომენდირებულია საბჭოს მიერ რომ უნდა შემოწმდეს შესაძლებლობა მატერიალური და ადამიანური რესურსის კუთხით, რამდენად შესაძლებელია 100 მსმენელი მიიღონ ერთდროულად.

ია ერაძემ თქვა, რომ რათქმა უნდა ეს გათვალისწინებულია, ახლა, ერთი ტრენერი, კვირაში სამი დღე უძღვება ამ ტრენინგ კურსს და შემდეგ კვირაში შეუძლია მეორე ტრენერს ჩაატაროს

საღიგეციო კურსი და შესაძლებელია ასევე დღეში ორი ჯგუფის უზრუნველყოფა ამ არსებული რესურსით. დღეში არის სამი საათი, კვირაში 9 საათია დატვირთვა და არსებული რესურსით სავსებით შესაძლებელია, შესაძლებელია აგრეთვე კურსი ონლაინ წარმართოს, იყენებენ Teams-ის ლიცენზირებულ პლატფორმას, რომელსაც აქვს ძალიან კარგი შესაძლებლობები. გიორგი კუჭუხიძემ დაამატა, რომ აპირებენ სხვადასხვა ტრენერების მოწვევას, რომ უფრო მრავალფეროვანი იყოს და არ მოხეზრდეთ მსმენელებს ერთი და იგივე ტრენერის მოსმენა.

გიორგი გამყრელიძის აზრით, ახალი პრეცედენტია, გასაგებია არგუმენტი, მაგრამ გარდა სუფთა ტექნიკური ასპექტებისა, არის ინსტიტუციური ასპექტებიც და მისი აზრით, ჯობია დასკვნა მიიღონ სტანდარტის შემოწმების შესაბამისად და არა წერილის მიხედვით.

ლანა გაჩეჩილაძემ განმარტება გააკეთა, ოქმი გამოქვეყნდება, ოქმის საფუძველზე მომზადდება ბრძანება და ბრძანებით შემოწმდება ადამიანური და მატერიალური რესურსი, ანუ მეორე სტანდარტი და გავა საბჭოს სხდომაზე დასკვნა და ცვლილების შესახებ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, 11:56 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების  
უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
მეფარიშვილი ქრისტინე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01054	ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება	გადამზადება	მესამე	14	ქართული	20	ქ. მცხეთა, სოფ. წინამძღვრიანთკარი

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01048	ტყის მცველი	მომზადება	მესამე	12	ქართული	30	საგარეჯოს რაიონი, სოფ. ნინოწმინდა